ანალიტიკური წერა

II ვარიანტი

ორი დავალება

დრო – 1 სთ 10 წთ

დავალება I – მსჯელობის ანალიზი

ქალაქში დიდი პოპულარობით სარგებლობდა სარეკლამო სააგენტო, რომელიც ახალგაზრდა სპეციალისტებით იყო დაკომპლექტებული. ისინი კარგად იცნობდნენ ადგილობრივ ბაზარს და ორიენტირებულები იყვნენ მცირე და საშუალო ბიზნესის საჭიროებებზე. სარეკლამო კამპანიებში ისინი ხშირად იყენებდნენ იუმორსა და ნაცნობ სიმბოლოებს.

ახალმა დირექტორმა სააგენტოს საქმიანობის გაფართოება გადაწყვიტა. ამისათვის მან გეზი, ძირითადად, მასშტაბურ, პრესტიჟულ ორგანიზაციებზე აიღო და სარეკლამო კამპანიებისათვის სტანდარტული, უნივერსალური შაბლონების დანერგვა დაიწყო. აღნიშნულ ღონისძიებებს ძველი თანამშრომლების ახალი კადრებით ჩანაცვლება მოჰყვა.

მიუხედავად ახალი დირექტორის ძალისხმევისა, ასეთი ცვლილებები მომგებიანი არ აღმოჩნდა და სააგენტო მალე დაიხურა კიდეც.

იმსჯელეთ, რა შეიძლება ყოფილიყო ის მიზეზები, რომელთა გამო განახლებულმა სარეკლამო სააგენტომ წარმატებას ვერ მიაღწია. ტექსტზე დაყრდნობით დაასახელეთ არსებითი არგუმენტები თქვენი აზრის დასასაბუთებლად.

იმისათვის, რომ ნაწერი ყველა კრიტერიუმის მიხედვით გასწორდეს, ის არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.

დავალება II – თემა მოცემულ საკითხზე

სწავლა-სწავლების პროცესში ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სულ უფრო ამცირებს მასწავლებლის როლსა და მნიშვნელობას სკოლაში.

გამოთქვით თქვენი აზრი მოცემული საკითხის შესახებ. თქვენი პოზიციის დასასაბუთებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები.

იმისათვის, რომ ნაწერი ყველა კრიტერიუმის მიხედვით გასწორდეს, ის არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.